ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4304444

ნომერი: AR1645116

თარიღი : 19.11.2018

გაცემის თარიღი : 13.12.2018

გაცნობის თარიღი : 14.12.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო , ვარკეთილის მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლუკა ქვაჩაკიძე პ/ნ 01019087532
- თბილისი, ზ.ანჯაფარიძის ქ.№19

ორგანიზაცია:
- სს ენერგო-პრო ჯორჯია კოდი: 205169066

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში,სექტორი– დიდი ლილო , დიდი ლილო , ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიაზე, სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 81.08.22.752), ელ.ენერგიით მომარაგების უზრუნველსაყოფად, გარე გამანაწილებელი კარადის სახით, დანადგარების დამონტაჟების განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური".

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთუ ლი დოკუმენტაციის(ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 892018959937 საკადასტრო კოდი N 81.08.22.752, შპს „ტავ ურბან საქართველო"-ს თანხმობა, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები, ესკიზური ნახაზები და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში,სექტორი– დიდი ლილო , დიდი ლილო , ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიაზე სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 81.08.22.752), ელ.ენერგიით მომარაგების უზრუნველსაყოფად, გარე გამანაწილებელი კარადის სახით, დანადგარების დამონტაჟების განხორციელების შესაძლებლობას.

დანადგარების განთავსება განხორციელდეს საკადასტრო საზღვრების არეალში და უზრუნველყოფილი იქნას მათი კონსტრუქციული მდგრადობა;

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.